

დანართი 4  
დამტკიცებულია

შპს ავიცენას საერთაშორისო  
საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის  
2018 წლის 17 ივლისის №01/07 ბრძანებით



შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი

წესრიგის დაცვის და ხანძარსაწინააღმდეგო  
უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები  
(წესი)

თბილისი  
2018

## მუხლი 1.

1.წინამდებარე წესი განსაზღვრავს შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის (შემდგომში დაწესებულება) წესრიგის დაცვისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმებს.

2.წინამდებარე წესით გათვალისწინებული მექანიზმების განხორციელებაზე პასუხისმგებელია დაცვა-უსაფრთხოებისა და დასუფთავების სამსახური (შემდგომში სამსახური).

## მუხლი 2.

1. სამსახურის ძირითადი ამოცანაა დაწესებულების ბალანსზე არსებული შენობა-ნაგებობების, ცალკეული სათავსოების, ოთახების, კორიდორების, სველი წერტილების, დაწესებულების მიმდებარე პერიმეტრის უსაფრთხოების, ცეცხლმაქრების საექსპლუატაციო ვარგისიანობის, აგრეთვე სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის, ელექტრომომარაგების, ელექტროგაყვანილობის გამართული მუშაობისა და განათების, წყალმომარაგების, წყლისა და საკანალიზაციო მილგაყვანილობისა და გათბობის სისტემის გამართულ მუშაობის უზრუნველყოფა.

2. სამსახურის შემადგენლობაში შედიან დაცვის მუშაკი/მუშაკები, რომელიც/რომლებიც ვალდებული არის/არიან:

ა)კოორდინაცია გაუწიონ და სათანადოდ წარმართონ სამსახურის საქმიანობა;

ბ)დადგენილ დროს გამოცხადდნენ სამუშაოზე და იმყოფებოდნენ დაწესებულებაში სამუშაო საათების დამთავრებამდე;

გ)სამსახურში გამოცხადებისთანავე დაათვალიერონ კორპუსი, შეამოწმონ საკეტები, განათება, სატელეფონო კავშირი, მოახდინონ კორპუსის გარე დათავლიერება და ნებისმიერი დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობონ დირექტორს;

დ) კარგად იცოდნენ შენობაში კაბინეტებისა და აუდიტორიების განლაგებასა და თავისებურებებს. დაიცვან შენობაში არსებული ქონება დაზიანების, გაძარცვისა და ხანძრისაგან;

ე)აღკვეთონ დაწესებულების შრომის შინაგანაწესის ისეთი სახის დარღვევები, როგორებიცაა ალკოჰოლური სასმელების შემოტანა კორპუსში, თამბაქოს მოწევა, აზარტული თამაშები, არ დაუშვან შენობაში რაიმე ინვენტარის ან ნივთის შემოტანა-გატანა დირექტორის ნებართვის გარეშე;

ვ)აღკვეთონ შენობის ძირითადი და სათადარიგო გასასვლელების ჩახერგვა სხვადასხვა სახეობის ინვენტარით;

ზ)უზრუნველყონ ელექტროგაყვანილობის მუდმივად გამართულ მდგომარეობაში ყოფნა; საჭიროების შემთხვევაში აამოქმედონ ელექტროენერჯის უწყვეტი მიწოდების სისტემა.

თ)უზრუნველყონ სახანძრო ცეცხლმაქრების მუდმივად გამართულ მდგომარეობაში ყოფნა;

ი)დაწესებულების ტერიტორიაზე ხანძრის ან სხვა სტიქიური მოვლენების შემთხვევაში დაუყოვნებლივ შეატყობინონ დაწესებულების ხელმძღვანელობას, სახანძრო სამსახურსა პოლიციის განყოფილებას;

მ)თავისი კომპეტენციის ფარგლებში განახორციელონ დირექტორის სხვა დავალებების, დაწესებულების თანამდებობრივი ინსტრუქციის, წინმადებარე წესის, სხვა შიდა სამართლებრივი აქტებისა და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები.

### მუხლი 3.

3.1. ცეცხლის კერის დანახვისთანავე დაუყოვნებლივ დატოვეთ შენობა ან შეეცადეთ ჩააქროთ ცეცხლი. საჭიროების შემთხვევაში ისარგებლეთ საევაკუაციო გასასვლელით.

3.2. თუ გადაწყვეტთ არ დატოვოთ შენობა და თავად შეებრძოლოთ ცეცხლს მაშინ აუცილებელია დაიცვათ შემდეგი მოთხოვნები:

3.2.1. თუ თვლით, რომ ცეცხლთან გამკლავება ძნელი იქნება ცეცხლის ჩაქრობის დაწყებამდე აუცილებლად უნდა დარეკოთ სახანძროში;

3.2.2. უნდა იცოდეთ ცეცხლმაქრის გამოყენების წესები. წესების არცოდნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ დატოვეთ შენობა.

3.2.3. უაცილებლად უნდა შეამოწმოთ არის თუ არა ცეცხლმაქრი სავსე.

3.4. დაცვა-უსაფრთხოების მუშაკის/მუშაკების მოთხოვნის შემთხვევაში დაწესებულების პერსონალი და პროფესიული სტუდენტები ვალდებული არიან დაუყოვნებლივ დატოვონ შენობა.

3.5. თუ ხანძრის დროს ვერ ახერხებთ შენობიდან გამოსვლას:

3.5.1. შედით ყველაზე უსაფრთხო ოთახში, დაკეტეთ კარები და კარებთან დააფინეთ სველი ტილო ან სხვა ნაჭერი ისე, რომ მაქსიმალურად შეზღუდოთ ოთახში კვამლის შემოსვლა;

3.5.2. თუ თქვენსა და ცეცხლის კერას შორის არის ერთი ან რამდენიმე კარები, აუცილებლად დაკეტეთ აღნიშნული კარებები.

3.5.3. იყავით მზად იმისათვის, რომ მოვლენ თქვენს დასახმარებლად და ყური დაუგდეთ შესაბამის სიგნალს.

3.6. თუ კვამლმა შემოაღწია ოთახში, დაწექით იატაკზე, ისუნთქეთ მხოლოდ ცხვირით და სუნთქვისას აიფარეთ ცხვირსახოცი ან სხვა ნაჭერი.

3.7. თუ გადაწყვეტთ გაიაროთ ცეცხლმოკიდებულ ტერიტორიაზე, აუცილებლად დაიფარეთ წინასწარ თავი და თმები, შეიკავეთ სუნთქვა და იმოდრავით შეძლებისდაგვარად სწრაფად. მოძრაობისას ეცადეთ მაქსიმალურად დახუჭოთ თვალები.

3.8. პერსონალის შშმ წარმომადგენლები და შშმ და სსსმ პროფესიული სტუდენტები აუცილებლად უნდა გავიდნენ ყველაზე უსაფრთხო ოთახში და დაელოდონ დახმარებას.

3.9. საჭიროების შემთხვევაში ისარგებლეთ საევაკუაციო გასასვლელით. საევაკუაციო გეგმა საჯაროდ განთავსებულია დაწესებულების შენობის 7 (შვიდ) წერტილში ცეცხლმაქრებთან და მათი გამოყენების ინსტრუქციასთან ერთად.

#### .ცეცხლმაქრის გამოყენების ინსტრუქცია



3.10. გადაუდებელ და საგანგებო სიტუაციებში დახმარების გამოძახების ერთიანი სატელეფონო ნომერია 112, რომელიც არის 24-საათიანი საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრი.

3.11. 112-ზე დარეკვა შესაძლებელია ნებისმიერი ტელეფონიდან და ზარი უფასოა.

3.12. 112-ზე დარეკვისას ისაუბრეთ გარკვევით და მშვიდად უთხარით ოპერატორს თქვენი სახელი და ადგილსამყოფელი. არ დაკიდოთ ყურმილი პირველმა.

#### **მუხლი 4.**

4.1. წინამდებარე წესს ამტკიცებს დაწესებულების დირექტორი ბრძანებით.

4.2. წინამდებარე წესის გაუქმება, მასში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა ხორციელდება დირექტორის ბრძანებით.

4.3. წინამდებარე წესი უნდა განთავსდეს დაწესებულების ვებ-გვერდზე და დაწესებულების შენობაში საჯაროდ თვალსაჩინო ადგილას.

